პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 62 (18604) ოთხშაბათი, 16 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საძმურ გამოარჩინა

ფარმატებით არომევს თავს მიმდინარე წლის სამეურნეო სახელმწიფო გეგმას „საქავტორემონტის“ რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. ავტოშემკეთებლებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის დავალებები. წარმატებას ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის შეუნელებელი ბრძოლა.

ამ სურათზე მარცხნიდან თქვენ ხედავთ გაერთიანების მეთაური საწარმოს — თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის შრომის ვეტერანებს, ახალგაზრდობის შეხანაშვილს აღმზრდელებს — ხარატს გ. ლაცაბიძეს, შემდუღებელ ა. ჩარხანიძეს, ზეინკლებს ა. კიკნაძეს და ვ. გოგიშვილს. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა თ. ნიკოლაიშვილმა ეს სურათი იმ დროს გადაიღო, როცა შესვენება ის-ის იყო დამთავრდა და შრომის ვეტერანებმა მორიგი შეხვედრები მანქანის სქემა აიღეს ხელში.

გეგმა კანონია, გეგმის შეუსრულებლობისათვის ყველა პასუხს ვაგებთ!

ორიოდე კვირაც, და დამთავრდება ხუთნლიდის შუაგული წლის პირველი სამეურნეო კვარტალი. ამ პერიოდმა მნიშვნელოვანწილად უნდა განსაზღვროს როგორ შევასრულებთ მეორე კვარტალისა და მთლიანად წლიურ გეგმებს, როგორ ვახორციელებთ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის გამიზნულ ღონისძიებებს.

იანვარ-თებერვლის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოსდა, საქმე ცუდად არ მიდის. პროდუქციის რეალიზაციის ორი თვის გეგმა რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით ვადამდე შესრულდა, გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 32,9 მილიონი მანეთის ნაწარმი გაეგზავნა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა 10,4 პროცენტით გადიდდა. წარმოების მოცულობის ტემპისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით სოციალისტურ ვალდებულებებსაც კი გადავაჭარბეთ.

დიახ, ერთი შეხედვით მდგომარეობა თითქოს ცუდი არ არის, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ გამოხატავს რესპუბლიკის ეკონომიკისა და, კერძოდ, მრეწველობის პოტენციურ შესაძლებლობებს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში რეალიზაციის გეგმას 124 საწარმომ ვერ გაართვა თავი და მომხმარებელს 17,9 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. ყოველად დაუშვებელია ისიც, რომ ამ მიმართულებით ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 28-ით გაიზარდა!

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს წინათელ ზოლად გასდევს აზრი, რომ ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, და ეს თვითმიზანი როდია. ყაირათიანობა ის რეზერვია, რომელიც უპირველესად დაძაბული სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულებისათვის, ესე იგი, კანონის შესრულებისათვის გვჭირდება. დიახ, გეგმა კანონია და მისი უგულებელყოფის, მისდამი ზერელე დამოკიდებულების უფლება არავის არა აქვს. ამისათვის პასუხი უნდა აგოს ყველამ, იქნება იგი საამქროს უფროსი, საწარმოს თუ გაერთიანების დირექტორი, მინისტრი თუ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების შემდეგ, წინა პლანზე წამოინია სახელშეკრულებო დისციპლინამ, ესე იგი, შემკვეთისათვის პროდუქციის მკაცრად დადგენილ დროში მონოდების საკითხმა, იგი გახდა მუშაობის შეფასების ერთ-ერთი გადამწყვეტი მაჩვენებელი. უკვე არაერთხელ თქმულა, რომ ორ სანარმოს შორის დადებული ხელშეკრულება ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც კანონის ძალას იძენს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? არცთუ სახარბიელო. იმ 796 საწარმოდან და გაერთიანებიდან, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებით იყვნენ დაკავშირებული ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციასთან, გეგმა ვერ შეასრულა 224-მა. მათ 54,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს მომხმარებლებს, დააღალატეს ისინი. ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, სახელშეკრულებო დისციპლინის დამრღვევთა რიცხვმაც იმატა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საქმის ისეთი ვითარება, როცა საწარმოები სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ, ხოლო სახელშეკრულებო დისციპლინით გათვალისწინებული პროდუქციის მიწოდების გეგმას თავს ვერ არმევენ. მათ რიცხეს ეკუთვნის, მაგალითად, თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანება, ზესტაფონის „საქაბელისა“ და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნები, სხვა საწარმოები.

ასეთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები შემკვეთებს ჯარიმას სახელმწიფო ჯიბიდან უხდიან, სამაგიეროდ, ხშირად პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციისათვის პრემიებს იგივე სახელმწიფოს ჯიბიდან იღებენ. ეს ხდება იმიტომ, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დამრღვევებისათვის მთელი სიმკაცრით, პარტიული პრინციპულობით არ მოუთხოვიათ. ეს საკითხი არ არის მოქცეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ ჯერ ვერ დაანწესეს მტკიცე კონტროლი პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან საზედამხედველო ორგანოებმა, კერძოდ, პროკურატურამ. ზოგიერთ უწყებათა, საწარმოთა, გაერთიანებათა ხელმძღვანელები, ერთი მხრივ, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისთვის, მეორე მხრივ, ვერ ართმევენ თავს მეურნეობის მართვას.

ამ საკითხზე გამახვილდა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელმაც განიხილა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის ეკონომიკური და სოციალური გეგმების შესრულების შედეგები და დასახა პირველი კვარტალის გეგმის უთუო შესრულების ღონისძიებები.

სხდომაზე მკაცრად ილაპარაკეს მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე. პირდაპირ ითქვა, რომ ხელმძღვანელმა, რომელიც ვერ წყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანებს, ვერ ართმევს თავს საქმეს, გულახდილად უნდა აღიაროს ეს და დაუთმოს თავისი ადგილი, თანამდებობა უფრო კომპეტენტურ, საქმეში ღრმად ჩახედულ მუშაკს. ეს დროის მოთხოვნაა და მას ვერსად გავექცევით. სულ ერთია, გეგმების შეუსრულებლობის „ობიექტური“ მიზეზები ძებნით ფონს დიდხანს მაინც ვერავინ გავა, ადრე თუ გვიან ცხოვრება მას თავის ადგილს მოუნახავს.

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის გაზრდისა და მისი კომპეტენტურობის აუცილებლობის საკითხები, რომლებზედაც სხდომაზე სერიოზული სჯა-ბაასი იყო, სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს. ამ პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები — ეკონომიკური და ორგანიზაციული, — რომლებიც სტიმულს მისცემდა ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივას, თაოსნობას. და პირიქით, ცუდი მუშაობა, უნიათობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალოდ და გარდაუვალად უნდა ახდენდეს გავლენას მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებაზე, სამსახურეობრივ მდგომარეობაზე და მორალურ ავტორიტეტზეც“. ამ მითითებებიდან ყველამ უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები და შესაბამისად გარდავქმნათ მუშაობა.

ზემოხსენებულ საკითხებზე, როგორც ცნობილია, პრინციპულად იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI და XII პლენუმებზე. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის სიტყვაში საგნობრივად ილაპარაკა სახელმწიფო, საგეგმო, შრომის, სახელშეკრულებო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე. ეს სიტყვა კონკრეტული სამოქმედო პროგრამაა და ამით ყოველდღიურად უნდა ვიხელმძღვანელოთ.

გადაჭარბებით შესრულდა რესპუბლიკაში წარმოების მოცულობის ზრდის გეგმაც და ვალდებულებაც. საშუალო სადღეღამისო წარმოება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 3,6 პროცენტით გადიდდა. ეს სნორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ 243 საწარმომ შარშანდელთან შედარებით შეამცირა წარმოების ზრდის ტემპი, მათ 72,7 მილიონი მანეთით ნაკლები პროდუქცია დაამზადეს. ეს სახელმწიფო დავალებების კორექტირების ბრალია. საქმე ის არის, რომ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა დიდი ნაწილი გეგმების კორექტირებას რესუბლიკის ზემდგომ ორგანოებთან შეუთანხმებლად ანარმოებს, რასაც ეკონომიკის მართვის ერთიან პროცესში შეაქვს დეზორგანიზაცია, რაც ყოველად დაუშვებელია.

წარმოების მოცულობის ტემპის ზრდის თვალსაწრისით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა „სამტრესტის“ სისტემაში. ამაში გარკვეულწილად, როგორც ცნობილია, თავისი ქნა ბუნების ჭირვეულობამ, შარშანდელმა მოუსავლიანობამ, მაგრამ დავალებების შეუსრულებლობის უფლება „სამტრესტის“ მესვეურთ მაინც არ ჰქონდათ. იყო სხვა რესპუბლიკებიდან ნედლეულის შემოტანის შესაძლებლობანი, რაც გეგმების უთუო შესრულებაში დაგვეხმარებოდა. აქ საჭიროა საქმისადმი არა უნყებრივი, არამედ სახელმწიფოებრივი მიდგომა, მეტი ინიციატივა, პასუხისმგებლობა, მეტი მოქნილობა და ოპერატიულობა.

ასეთი ხელმძღვანელები თავს სხვადასხვა ობიექტური მიზეზითა და უპირველესად ნედლეულის, მასალების უქონლობით იმართლებენ ხოლმე. რა თქმა უნდა, სიძნელეები გვაქვს, ყოველთვის არ გვყოფნის მატერიალური რესურსები, და პარტია გულახდილადაც ამბობს ამას, ამბობს და მოგვინოდებს ვისწავლოთ მომჭირნეობა, ვეძიოთ და გამოვავლინოთ რეზერვები, რომლებიც პრაქტიკულად უშრეტია, ვისწავლოთ მეურნეობის მართვა, კაპიკის ყადრი, საქმისათვის თავდადება. იქ, სადაც ასე იქცევიან, შედეგსაც აღწევენ.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ შრომის ნაყოფიერების ზრდის ორი თვის დავალებაც და ვალდებულებაც გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 243 საწარმომ შეამცირა. განსაკუთრებით მომრავლდა ასეთი საწარმოები მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, დამზადების, კვების მრეწველობის სამინისტროებში, „სამტრესტის“, „საქართველოს ჩაის“ რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებებში. შრომის ნაყოფიერება დაქვეითდა აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების ისეთ ორგანიზაციებში, როგორიც არის „საქღვინომანქანის“, „საქქვანახშირის“, „საქნავთობის“, „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებები, თბილისის ელექტროტექნიკური, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ბათუმის ელექტრომექანიკური, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხნები, სხვა საწარმოები.

ეს იმის შედეგია, რომ ჩამოთვლილი სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების ხელმძღვანელები ძველი, გატკეპნილი გზით მიდიან, არ იბრძვიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში თამამად არ ნერგავენ ავტომატიზაციასა და მექანიზაციას, მოწინავე გამოცდილებას, ახალ ტექნიკას, ცუდად ზრუნავენ ხელის შრომის შემცირებაზე.

ცნობილია, თუ რა დიდ, უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებდა ვ. ი. ლენინი შრომის ნაყოფიერების ზრდას ეკონომიკის შეუნელებელი წინსვლისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. იქ, სადაც ასრულებენ პროდუქციის გამოშვების გეგმებს, მაგრამ ვერ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, დიდხანს ფონს ვერ გავლენ, თავს იტყუებენ. ისინი ადრე თუ გვიან ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან. ამასთან დაკავშირებით 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე თავის სიტყვაში ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ „ახალი მეთოდის, ახალი ტექნიკის დასანერგავად საჭიროა წარმოების ასე თუ ისე რეორგანიზაცია, ეს კი დაღს ასვამს გეგმის შესრულებას. მით უმეტეს, რომ წარმოების გეგმის ჩაშლისათვის პასუხს გთხოვენ, ახალი ტექნიკის სუსტი დანერგვისათვის კი, დიდი-დიდი, დაგტუქსონ“.

დიახ, ასე იყო ადრე, მაგრამ დღეს საქმისადმი ასეთ მიდგომას ბოლო უნდა მოეღოს, ამას აღარ გვაპატიებენ და მთელი სიმკაცრით მოგვკითხავენ. გეგმა კანონია და გეგმისთვის ყველანი ვაგებთ პასუხს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მიმდინარე წლისათვის ახალი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. როგორც გეგმები, ისე ვალდებულებები დაძაბულია და ამიტომ მათი შესრულება თითოეული ჩვენგანის ღირსების საქმეა. მიზნების განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს რესპუბლიკის პრესტიჟს, ხელს შეუწყობს ჩვენი დიადი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, მისი თავდაცვისუნარიანობის ზრდას. უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, მთელი მონდომებით ვიბრძოლოთ გეგმების შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, კომპლექსურად მივუდგეთ წარმოების მართვას, შევამციროთ მატერიალური დანაკარგები, გამოვიჩინოთ მომჭირნეობა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

გეგმა კანონია, გეგმის შეუსრულებლობისათვის ყველა პასუხს ვაგებთ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა

გაერთიანებული სხდომის დასაწყისში, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულების შედეგები და დასახა 1983 წლის პირველი კვარტალის დავალებათა უთუო რეალიზაციის ღონისძიებანი, ყურადღება მიეპყრო იმას, რომ... ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის მთელი რიგი მონაცემები. კერძოდ, საგეგმო მიჯნები ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრულია ცალკეული საწარმოებისა და დარგების შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. ეს ქმნის წამგებების, კორექტირებისა და სხვა უარყოფითი მოვლენების საშიშროებას.

გაერთიანებულ სხდომაზე სჯა-ბაასი მწვავე გამოდგა, შეფასებანი იყო ზუსტი და პირუთვნელი, კრიტიკას კონკრეტული აღრესატები ჰყავდა. ერთი მათგანი იყო მგეგმავი ორგანოები. აღინიშნა, რომ თავიანთი პასიური პოზიციით, ეკონომიკის განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში არასაკმარისი ოპერატიულობით მათ ფაქტობრივად განაპირობეს უმნიშვნელოვანესი სახეობის დისციპლინის — საგეგმო დისციპლინის დარღვევა.

როგორც გაერთიანებული სხდომის მონაწილეთა გამოსვლებმა ცხადყო, მგეგმავი ორგანოები, როცა უახლოესი პერსპექტივის დავალებებს ადგენდნენ, მთელ რიგ შემთხვევებში არ მოთათბირებიან დავალებათა შემსრულებლებს, არ გაუთვალისწინებიათ მათი აზრი, არ ჩასწვდომიან წარმოქმნილ კონიუნქტურას.

სამწუხაროა ისეთი დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ შესუსტდა პასუხისმგებლობა, რომლის მიზეზია მიღწეულის გამო თვითდამშვიდება, ის, რომ არ სურთ ან არ შესწევთ უნარი გააქტიურონ ძიება და საქმეში რეზერვების გამოყენება, რომ იმიზეზებენ ეგრეთ წოდებული ობიექტურ გარემოებებს.

იანვარსა და თებერვალში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საქმიანობას ახასიათებდა უაღრესად დიდი დაძაბულობა. ამან დაიმსახურა თუმცა თავშეკავებული, მაგრამ დადებითი შეფასება: რესპუბლიკის ეკონომიკა დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებდა. პროდუქციის ოდენობა ზრდის მოცულობის იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულდა ვადამდე, გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 32,9 მილიონი მანეთის პროდუქცია.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამინისტროებმა, უწყებებმა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა მიაღწიეს სასაკონლო პროდუქციის წარმოების განვითარების უპირატეს ტემპს საშუალო-რესპუბლიკურთან შედარებით. მათ შორის არის კვების მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, „საქართველოს ჩაი“, „საქთვეს-მრეწვი“, ქუთაისის მოტობლოკების ქარხანა, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანა, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხანა და სხვები.

ამავე დროს მთელმა რიგმა საწარმოებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ მოწინავეთა შორის იყვნენ, გააუარესეს მუშაობის მაჩვენებლები. იანვარ-თებერვლის საგეგმო დავალებებს თავი ვერ გაართვა 69 საწარმომ, რომლებმაც სახელმწიფოს შვიდი მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მათი რიცხვი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა.

ზოგიერთ საწარმოში შეიმჩნევა ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის შემცირების საშიში ტენდენცია, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში შვიდი პროცენტით გაზარდეს მომუშავეთა რიცხვი და პროდუქციის გამოშვება მხოლოდ ორი პროცენტით გაადიდეს. ამ სამწუხარო რეესტრში 77 საწარმოა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, შარშან რესპუბლიკის მრეწველობაში შემცირების მიზნით გეგმების კორექტირება 734-ჯერ მოახდინეს. ასეთივე უარყოფითი ტენდენცია შეიმჩნევა მიმდინარე წლის დამდეგიდან. ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხანამ, გეგმის კორექტირება რომ მოახდინა, ხახელმწიფოს დააკლო ნაწარმის თითქმის მეხუთედი. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები მეტ წილ შემთხვევებში, როცა დავალებებს კორექტირებას უწევენენ, საჭიროდ არ მიიჩნევენ შეუთანხმონ ეს რესპუბლიკურ ორგანოებს, რითაც ეკონომიკის მართვაში შეაქვთ დეზორგანიზაციის ელემენტები. სხდომამ მოითხოვა კატეგორიულად აიკრძალოს საგეგმო დავალებათა კორექტირება რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებთან შეუთანხმებლად.

საქმის ვითარების ანალიზი მოწმობს, რომ ხელმძღვანელები, რომლებიც დავალებათა კორექტირებას ახდენენ, უსაფუძვლოდ იმოწმებენ ეგრეთ წოდებულ ობიექტურ მიზეზებს: ნედლეულის, მასალებისა და სხვათა ნაკლებობას. უმრავლეს შემთხვევებში ასეთ საწარმოთა ცუდი შუმაობის მიზეზია შიდადარგობრივი ხარვეზები, სამეურნეო მუშაკთა ინერტულობა, მათ მიერ პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვა.

სწორედ ამიტომ გაერთიანებულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნების, ამ პლენუმზე, მოსკოველ ჩარხმშენებლობან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების პოზიციებიდან მიმდინარეობდა საუბარი სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, გეგმების ბედისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ, გეგმებისა, რომლებიც საწარმოო საქმიანობის უცილობელი კანონია. გაერთიანებული სხდომის მონაწილეებმა წამოაყენეს ასეთი მოთხოვნა — კი არ მოიმიზეზონ ყბადაღებული ობიექტური გარემოებანი, არამედ გავლენა მოახდინონ მოვლენების მიმდინარეობაზე, აქტიურად, შემოქმედებითად გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები.

აქ პრინციპულად დაისვა მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი. აღინიშნა, რომ იმათ, ვინც თავს ვერ ართმევს დასახულ ამოცანებს, არ შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება, როცა იგი უარესდება. ვერ ხედავს პერსპექტივას, ვერ ერკვევა შექმნილ სიტუაციებში, უნდა ეყოს გაბედულება, რათა პატიოსნად აღიაროს თავისი უუნარობა და ადგილი დაუთმოს უფრო კომპეტენტურ ამხანაგს.

მკაფიოდ და არაორაზროვნად აღინიშნა: საგეგმო დავალებათა უთუო რეალიზაციისათვის პასუხს აგებს ყველა — პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები.

გაერთიანებული სხდომის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ გადაჭრით და ოპერატიულად გადისაზღვროს იმ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მუშაობის სათანადო შედეგებს, განნორციელდეს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებანი.

გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის მუშაობა შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ბ. ბ. ბელეცაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბელა გიორგის ასული ბელეცკაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 14 მარტი.

ი. ვ. ანდროპოვის მეგობრული შეხვედრა

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირის მონაწილეებთან

15 მარტს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეგობრული შეხვედრა საერთაშორისო და იდეოლოგიურ საკითხებზე სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნების თათბირის მონაწილეებთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ლილოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტანიშევი, ს. მიხაილოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. ჰაგერი, ჰ. აქსენი, ი. ჰერმანი; ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰოანგ ტუნგი; კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ეჰრეს ერერო; ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ვიაკეტი; მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გომბოჟავი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ადია; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ჩირეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გლუვჩიკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ოეეხოვსკი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. დობრესკუ, პ. ენკე; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ბ. ოვარი, დ. აცელი; უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ვარკონი; ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

ი. ვ. ანდროპოვის შეხვედრამ სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებთან გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირი

1983 წლის 14-15 მარტს მოსკოვში გეგმართა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა მორიგი თათბირი საერთაშორისო და იდეოლოგიურ საკითხებზე, თათბირში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ლილოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტანიშევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. მიხაილოვი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჰაგერი, ჰ. აქსენი, ი. ჰერმანი;

ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰოანგ ტუნგი;

კუბის კომუნისტური პარტიისაგან — კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ა. ეჰრეს ერერო;

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ვიაკეტი;

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისაგან — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გომბოჟავი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ადია;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ჩირეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გლუვჩიკი;

რუმინეთის კომუნისტური პარტიისაგან — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. დობრესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ენკე;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ოვარი;

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფოიტიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ოვარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. აცელი;

**რუმინეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდ

ეხმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ● საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ

მოსაზრებანი, წინადადებები

გალავარი მტკიცე უნდა იყოს

საქართველოს თვეზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „საქთვეზმრეწვი“ მთელ რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი გაერთიანებათაგანია — მას დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული 14 მსხვილი ორგანიზაცია ექვემდებარება. გაერთიანების რვაათასკაციანი კოლექტივი იღვწის, რომ პირნათლად შეასრულოს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, დროულად გადაჭრას სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. შარშანდელი წელი დამაკმაყოფილებელი სამეურნეო მაჩვენებლებით დავამთავრეთ. არც ხუთწლედის შუაგული წელიწადი დავვწყვია ურიგოდ: 10 მარტისათვის უკვე შესრულდა პირველი კვარტალის გეგმები ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქეს გაერთიანების პარტიულ ორგანიზაციის, რომელმაც ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესა და დახვეწა თავისი მუშაობა. მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა და მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლამ დაგვარწმუნა, რომ მეტი გარჯა და პრინციპულობა გვჭირდება, რათა საღდღეისო მოთხოვნილებათა დონეს შეესაბამებოდეს ჩვენი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, მისი მუშაობის სტილი და მეთოდები.

პირველადი ორგანიზაცია პარტიის ბალავარია. ამიტომ ეს ბალავარი მტკიცე უნდა იყოს. მე, როგორც რიგით კომუნისტს, მინდა ყურადღება გავამახვილო ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვან მხარეებზე, აღვნიშნო, რა სიძნელეები გვეღობება მუშაობაში და, საერთოდ, რა მიმაჩნია პარტიის ძირეული რგოლის აქტიურობის ასამაღლებლად.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია კომუნისტების ერთი ნაწილის პასიურობა. მთელი მათი პარტიული „მოღვაწეობა“ ორი რამით განიზღვრება — საწევროს გადახდით და პარტიის კრებებზე ვალმოსახდელი დასწრებით. გადავსინჯოთ კრებების ოქმები. ორი-სამი წელიწადი ისეა გასული, რომ ზოგიერთ კომუნისტს ერთხელაც არ დაუთქვამს ერთი კრინტი, არ გამოუთქვამს მოსაზრება, არ ჩარეულა პრინციპულ პარტიულ პაექრობაში. რისთვის გვჭირდება ასეთი პირი? წყალაგუბებული, პარტიულ ცხოვრებას განდგომილი კომუნისტები? ამ მხრივ პარტიული ორგანიზაციის მდივანი და ბიუროს წევრებიც ხშირად სცოდავენ. იმის ნაცვლად, ორგანიზაციის პასიურ წევრებს სიცოცხლე ჩაპბერონ, აამოქმედონ, პარტიულ-საზოგადოებრივი დატვირთვა დააკისრონ, ხელს ჩაიქნევენ ხოლმე — მაინც ვერ შეასრულებენ ამ სერიოზულ საქმესო და მათს გასაკეთებელ საქმესაც ბიუროს რამდენიმე წევრი აკეთებს. შედეგი? ერთნი საქმეში ყელამდე არიან ჩაფლულნი, მეორენი შორიდან იყურებიან და გულგრილობას იჩენენ, ამიტომ ამას იქით პარტიული მუშაობა ისეთ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ, რომ ყოველ კომუნისტს, დაე, თუნდაც მოკრძალებული, მაგრამ რაღაც გარკვეული, საკუთარი წვლილი შეაქონდეს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, გაერთიანების საქმიანობაში.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილეები მეტწილად ნაკლებად არიან დატვირთულნი. ხშირად ისინი მხოლოდ საპატიო წევრებად ითვლებიან. პარტიული ორგანიზაციის მუშაობისა და ბედ-იღბალისთვისაც რატომღაც ნაკლებ პასუხს სთხოვენ. ყოველი დონის და რანგის თათბირებზეც, კრებებსა თუ სხდომებზე, ზოგჯერ კი სულ რაღაც წვრილმან საქმეებზეც უეჭველად მხოლოდ პარტორგანიზაციის მდივნებს იბარებენ, რითაც ერთგვარად უგულებელყოფილია მდივნის მოადგილის როლი და ავტორიტეტი. არადა, რა დასამალია, რომ პარტიული ორგანიზაციის მდივანი, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ბიუროს წევრი, ამ ბიუროს ერთ-ერთ ინიციატორ-მოგვარეა. ამიტომ ძალზე სამწუხაროა, რომ შრომის კანონმდებლობის კოდექსი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა...

ჩემი აზრით, არის კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი — ეს პარტიული აქტივისტების მორალური წახალისებაა. — დამსახურებულს წოდება ახლა ძალიან ბევრ სფეროშია. იქნებ შემოღებულიყო დამსახურებული პარტიული მუშაკის წოდებაც?

ა. თოდიძე,
გაერთიანება „საქთვეზმრეწვის“ მმართველის მოადგილე.

მეტი ოპერატიულობისათვის

მთისპირა სოფელ ტაბაგინში კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტი მძიმე სასინჯი ქვა აღმოჩნდა. ბევრმა ვერ გაამართლა იმედი, ვერ იქნა და გასაღები ვერ მოუნახეს ეკონომიკის გაძღოლას.

ორიოდე წლის წინათ პარტიის ზესტაფონის რაიკომის ხელმძღვანელმა სოფლის კომუნისტებს მოგვეთათბირა, გვთხოვეს გამოგვეთქვა აზრი შესაფერისი თავაკაცის არჩევის შესახებ. ყველამ ერთსულოვნად დავსახელეთ მეზობელი კლღეეთის მოწინავე კოლმეურნეობის მაშინდელი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ალექსანდრე გიფრინდაშვილის კანდიდატურა. ეს აზრი სოფლის მშრომელებმაც მოგვიწონეს.

დიდმა ნდობამ ჩვენ, კომუნისტებს, უფრო მაღალი პასუხისმგებლობა ჩაგვინერგა. ისე წარვმართეთ მუშაობა, რომ ყოველგვარი მეურვეობა გამორიცხულია, მაგრამ არც თავმჯდომარის ზეგავლენის ქვეშ ვიმყოფებით, შეხამებულად ვუთავსებთ ერთმანეთს პარტიულ და სამეურნეო ფუნქციებს. ასე დაიწყო ეკონომიკის აღორძინება. შარშანდელი შედეგების მიხედვით ტაბაგინი მთელ რაიონში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობა გახდა. აქ ყველა სახის დავალება გადაჭრებით შესრულდა. ცუდ კლიმატურ პირობებშიც კი სარეკორდო მოსავალი მოვიწიეთ. კომუნისტებმა სოფლის ყველა მშრომელი გაიყოლიეს და ახლა მუშაობელის სიჯარბეც კი შეიმჩნევა.

ტაბაგინში არც მიწა შეცვლილა და არც ხალხი. მაგრამ უფრო მეტად გამოჩნდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების აქტიური და ინიციატივიანი მუშაობა. ახლა უფრო სისტემატურად იმართება პარტიული კრებები. ხშირად ესწრებიან ჩვენს ღონისძიებებს პარტიის რაიკომის მეურვეები. ეს ფაქტი იმიტომ მოვიყვანე, რომ ბოლო წლებში პარტიის რაიკომი უფრო მეტად ეყრდნობა პირველადს ორგანიზაციებს, გაახშირა უშუალოდ ადგილებზე პრაქტიკული დახმარება, ცოცხალი ინსტრუქტაჟი. გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა ნებისმიერ ელემენტებზე. ამიტომ ეს ბალავარი მტკიცე უნდა იყოს. მე, როგორც ერთ-ერთ ინიციატორ-მოგვარეს, ეს ფაქტი ერთ-ერთ ძირითადად ჩანს ჩემ ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქეს გაერთიანების პარტიულ ორგანიზაციის, რომელმაც ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესა და დახვეწა თავისი მუშაობა. მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა და მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლამ დაგვარწმუნა, რომ მეტი გარჯა და პრინციპულობა გვჭირდება, რათა საღდღეისო მოთხოვნილებათა დონეს შეესაბამებოდეს ჩვენი პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების სხვა ფორმებიც. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, კარგი იქნება პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სკოლაში ხშირად მოეწყოს ხოლმე სწავლება კონკრეტული სიტუაციების მიხედვით. ეს ჩვენ გაგვადვილებს დამოუკიდებლად გავერკვეთ რთულ ვითარებაში და „ზემოდან დახმარების“ მოლოდინში არ ვიყოთ, ინიციატივიანად ვიმოქმედოთ.

ჩვენთან ყურადღების ცენტრშია სამეურნეო საქმიანობის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. პარტიულ სწავლებაში ჩაბმულმა კომუნისტებმა გულდასმით შეისწავლეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების მასალები. ამ საკითხებზე შინაარსიან მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებს აწყობენ აგიტატორები ნ. კელენჯერიძე, გ. აბრამიშვილი, ც. კვანტრიშვილი, თ. გაფრინდაშვილი და სხვები.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ მთელი საქმიანობა ვისთავად არა აქვს საშუალება, რომ მეტი ყურადღება დაუთმოს უშუალოდ გაერთიანებაში წამოჭრილ და მომწიფებულ საჭირბოროტო პრობლემებს. ამიტომ, ხომ არ აჯობებდა, ეგრეთ წოდებული ზევიდან რეკომენდებული ზოგიერთი საკითხის აუცილებელი განხილვის ნაცვლად მხოლოდ ინფორმაციის სახით მიგვეწოდებინა პარტიული კრებებისთვის?

უშუალო, კოლექტივთან ცოცხალი პარტიული მუშაობის საზიანოდ პარტორგანიზაციის მდივნის ძალზე ბევრი დრო და ენერგია მიაქვს ნაირგვარი ცნობების, ცხრილების, დიაგრამების, მოხსენებითი და ახსნა-განმარტებითი ბარათების წერას ზემდგომი ინსტანციებისთვის. კურიოზსდეც კი მიდის საქმე: ზოგჯერ ზოგიერთი ორგანო დიდი რიხით მოითხოვს ამა თუ იმ მასალას პარტორგანიზაციის მუშაობის რომელიმე ასპექტის შესახებ, და ეს მაშინ, როდესაც ზუსტად იგივე მონაცემები სულ რაღაც თვე-თვენახევრის წინათ მოითხოვეს და მიიღეს კიდეც. მაგრამ ან აღარ ახსოვთ, ანდა ძებნა-ქექვა ეზარებათ და ისევ ტელეფონით პარტორგანიზაციის მდივნის შეწუხებას ამჯობინებენ.

დღევანდელ პირობებში ნებისმიერ წარმოება-დაწესებულებაში პარტიული ორგანიზაციის, კადრების განყოფილების და პროფკავშირის კომიტეტის ფუნქციები ერთიმეორეს ისე მჭიდროდ დაეკავშირა, რომ მათ ხშირად ერთობლივად უხდებათ ამა თუ იმ საქმის, ხშირად კი შრომის კანონმდებლობის საკითხების გადაჭრა-მოგვარება. ამიტომ ძალზე სამწუხაროა, რომ შრომის კანონმდებლობის კოდექსი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა...

ჩემი აზრით, არის კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი — ეს პარტიული აქტივისტების მორალური წახალისებაა. — დამსახურებულს წოდება ახლა ძალიან ბევრ სფეროშია. იქნებ შემოღებულიყო დამსახურებული პარტიული მუშაკის წოდებაც?

ა. თოდიძე,
გაერთიანება „საქთვეზმრეწვის“ მმართველის მოადგილე.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივანთა თათბირი

(დასასრული)

ლური ამოცანების შესახებ, რომელთა მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ პრაღაში მიღებულ პოლიტიკურ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული სამშვიდობო ინიციატივები, და, უწინარეს ყოვლისა, ერთი მხრივ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა და მეორე მხრივ ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების მონაწილეთა შორის სამხედრო ძალის ურთიერთგამოუყენებლობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების მნიშვნელოვანი ინტერესით შეხვდნენ, გაგებით მოეკიდნენ და მხარი დაუჭირეს საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელ მოძრაობებში, პროგრესულად განწყობილი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენებში, ომის საწინააღმდეგო მოძრაობაში, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობებში. სოციალისტური ქვეყნების მიერ წამოყენებული საგარეო-პოლიტიკური ინიციატივების კომპლექსს მიიჩნევენ შეიარაღების გადიდების ომ პოლიტიკის რეალურ ალტერნატივად, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ზოგიერთი მოკავშირე ახორციელებენ სამხედრო უპირატესობის მიღწევის მიზნით და რომელიც საერთაშორისო სტაბილურობის დარღვევას იწვევს. ეს ინიციატივები კვლავ ცხადყოფენ, თუ რა პასუხისმგებლობით უდგებიან სოციალისტური ქვეყნები მშვიდობის შენარჩუნებას, მათ მზადყოფნას იმოქმედონ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის.

2. თათბირის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღინიშნეს, თუ რა ფართო საერთაშორისო რეზონანსს იძენს სოციალისტურ სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებიც ეხება ევროპის კონტინენტზე ბირთვულ განიარაღებას, — საშუალო სიშორის ახალი ბირთვული რაკეტების განლაგების ნატოსეული გეგმების წინააღმდეგ ბრძოლა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ ჩვენს პლანეტაზე მოვლენების განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით. ამ გეგმების რეალიზაცია, რომლის დაწყებაც 1983 წლისათვის არის გათვალისწინებული, უაღრესად სერიოზულ საფრთხეს შეიქმნის ევროპის ხალხებს, შეამცირებს ნდობას მათ შორის და გააუარესებს საერთაშორისო ვითარებას. ამიტომ უაღრესად საჭიროა მტკიცედ გავილაშქროთ ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი ტურის გაჩაღების წინააღმდეგ.

გამოითქვა შეშფოთება იმის გამო, რომ რეაქციულმა ძალებმა გამოაცოცხლეს რევანშისტული ტენდენციები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. და აღინიშნა, რომ დღევანდელი ევროპის ტერიტორიულ-პოლიტიკურ რეალობათა პატივისცემა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განუყოფელი და აუცილებელი ფაქტორია.

თათბირის მონაწილეებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ საჭიროა უზრუნველყონ დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა და გაძლიერება. მათ აღინიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დეკლარაციებში ჩამოყალიბებულ წინადადებებს, რომ დაიწყონ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა სახელმწიფოებისა და ნატოს წევრი სახელმწიფოების უშუალო მოლაპარაკება სამხედრო ხარჯების გაუდიდებლობისა და არსებითი შემცირების შესახებ. აღინიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნები კვლავინდებურად მზად არიან არსებითად განიხილონ ყოველი სხვა კონსტრუქციული წინადადება, რომელთა მიზანია საერთაშორისო ცხოვრების უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტა, ამასთან თანამიმდევრულად გაითვალისწინონ თანასწორობის, თანბარი უშიშროებისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები ესწრაფვიან იმას, რომ დაიწყონ ყველაზე ფართო დიალოგი და თანამშრომლობა მშვიდობისა და განიარაღების პრობლემებზე მთელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებთან, პარტიებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც აღიარებენ სხვადასხვა იდეოლოგიას, მრწამსსა და შეხედულებებს, მაგრამ მზად არიან იბრძოლონ ამ მიზნების მიღწევისათვის.

3. თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარება ადასტურებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის დეკლარაციის იმ დებულებებს, რომლებიც ეხება პოლიტიკური საშუალებებით აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში არსებული სამხედრო კონფლიქტების გადაწყვეტას და ახალი კონფლიქტების თავიდან აცილებას, კოლონიალიზმისა და რასიზმის ყველა ნაშთის საბოლოო ლიკვიდაციას, ნეოკოლონიალიზმის, სხვა ხალხების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკაზე უარის თქმას. საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს: ინდოეთის ოკეანის გადაქცევა მშვიდობის ზონად; სამართლიანი, მტკიცე და ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევა ახლო აღმოსავლეთში, სადაც ლიბანში ისრაელის აგრესიის შედეგად, რომელსაც აქეზებენ იმპერიალისტური ძალები, კიდევ უფრო გამწვავდა საშიში სიტუაცია, რასაც შეიძლება სერიოზული საერთაშორისო შედეგები მოჰყვეს; დაძაბულობის შენელების პროცესისა და ნდობის განმტკიცება აზიის კონტინენტის ყველა ქვეყნის ურთიერთობაში; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არსებული პრობლემების პოლიტიკური გზით გადაწყვეტა და ამ რაიონის გადაქცევა მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილმეზობლობის ზონად, რასაც მიზნად ისახავს ვიეტნიანის თათბირზე ინდოჩინეთის სამი ქვეყნის ხელმძღვანელების მიერ წამოყენებული ინიციატივები, რომლებსაც მხარს უჭერენ მოძმე პარტიები; ცენტრალური ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზში არსებული კონფლიქტების პოლიტიკური გადაწყვეტა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები, და მათი დამქაშები ცდილან უხეშ ზეგავლენას ახდენენ კუბაზე, საფრთხეს უქმნიან მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, აპირებენ ჩაახშონ ნიკარაგუის რევოლუცია და ჯიუტად უმლიან ხელს სალვადორელ ხალხს თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი; სამხრეთ აფრიკაში არსებული კონფლიქტების კერების ლიკვიდაცია „ფრონტისპირა სახელმწიფოთა“ წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და მისი სამხრეთაფრიკელი მოკავშირის აგრესიის შეწყვეტის გზით. და ნამიბიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ისე, რომ იგი არ დაუკავშირონ ანგოლაში კუბის ძალების ყოფნას, როგორც ეს მოითხოვეს ოფრიკის მეტმა ნაწილმა სახელმწიფოებმა და მიუმხრობლობის მოძრაობამ.

მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს მიუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობის ზზარდი მნიშვნელობა მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, მიესალმნენ დელის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელების განმტკიცება და დედამიწის ყველა რაიონში მისი გავრცელება, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნა სამართლიან, დემოკრატიულ საფუძველზე, რაც მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

4. თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრაქტიკული საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია რეაქციის იმ ცდებისადმი წინააღმდეგობის აქტივიზაციასთან, რომ გაიჩაღონ ანტიკომუნისტური „ჯვაროსნული ლაშქრობა“. იგი იმპერიალიზმის ღრმა კრიზისის გამოვლინებაა და სინამდვილეში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მზარდი ძალების წინააღმდეგ აგრესიის იარაღია. მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას, სახელმწიფოთა ურთიერთობაში მტრობის გაღვივებას, საერთაშორისო დაძაბულობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

თათბირის მონაწილეებმა დაწვრილებით განიხილეს საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებზე ინფორმაციულ-პროპაგანდისტული საქმიანობის დარგში მოძმე პარტიათა თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ომისა და მშვიდობის პრობლემებში სოციალისტური ქვეყნების პოზიციების შემდგომ განმარტებას, პრაღის თათბირის პოლიტიკური დეკლარაციის დებულებების, გამალებული აბაშის რაიონის სახალხო სასამართლოში შესული საქმეების მიხედვით ხელშეკრულების მონაწილე მოქალაქეთა მხრივ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო დისციპლინის განზრახ დარღვევას. ეს გაცილებით საშიშია, ვიდრე ხელშეკრულების შეუსრულებლობა გაუფრთხილებლობით. ამიტომ პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ მოქალაქის ბრალის ინტენსივობის ხარისხი.

კანონის თანახმად ყველა ამგვარი ტიპის ხელშეკრულების განზრახ შეუსრულებლობას შეიძლება მოყვეს ბრალეული პირის სრული მატერიალური პასუხისმგებლობა. კონკრეტული ბრალეული პირების მიმართ ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ფულადი ჯარიმა.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს არ ათავისუფლებს სასამართლოებს ყველა საჭირო შემოხვევაში დააყენონ საკითხი სამეურნეო ორგანოს იმ ხელმძღვანელ მუშაკთა დისციპლინურ-მატერიალური, ხოლო საჭირო შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელთა ბრალითაც არ შესრულდა ხელშეკრულება.

ამრიგად, დამრღვევი პირის მიერ მოლიანი ნატურალური ანაზღაურების მიზანია ხელშეკრულების მხარეთა მართლზომიერი, ეკონომიკური ინტერესების დაცვა. მეურნეობამ სასამართლოს მიერ დაბრუნებული ქონება უნდა გამოიყენოს სახელმწიფო ვალდებულებათა გასანაღდებლად.

სასამართლოს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ის ფაქტიც, რომ ფიზიკური პირის მიერ ხელშეკრულების ბრალეულმა დარღვევამ ხელი არ უნდა შეუწყოს საზოგადოების ხარჯზე მოქალაქის უსაფუძვლო გამდიდრებას, ან მის საქმიანობაში ანგარებით, სპეკულაციური ინტერესების გაჩენას. ამიტომ სასამართლოს მიერ გამოყენებული სანქცია მიმართული უნდა იყოს ბრალეულ პირზე რეალური ზემოქმედებისაკენ და არა სახელმწიფო ორგანოს დაზარალებისაკენ. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ ბრალეული პირების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არის პირადი დანტერესების პრინციპის მეორე მხარე, რომელსაც შრომის დისციპლინის განმტკიცების დღევანდელი მოთხოვნების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

იმისათვის, რომ გამოვირიცხოთ შეცდომები ამ კატეგორიის დავების განხილვისას, სასამართლოებმა და დაინტერესებულმა თანამდებობის პირებმა ზუსტად უნდა განასხვავონ ის თავისებურებები, რაც ახასიათებს „მატერიალურ პასუხისმგებლობას სამოქალაქო და შრომის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

ხელშეკრულების დარღვევისას წარმოშობილი პასუხისმგებლობის დროს შეიძლება დადგეს აგრეთვე პირუტყვის შემთხვევით დაღუპვის რისკის საკითხი. მოქმედ ტიპიურ ხელშეკრულებებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. პრაქტიკაში სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც განსხვავებული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის შემძენზე მისი საკუთრების უფლების წარმოშობისთანავე. ამიტომ მართებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის დროს შემთხვევითი დაღუპვის რისკი დაკისროს მეურნეობას. რაკი პირუტყვი და ფრინველი, ჭამაზრდის დროს, არ გადადიან მოქალაქის საკუთრებაში, რისკს მატარებლად უნდა დარჩეს მეურნეობა.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო ამჟამად იღებს ზომებს, რათა აღნიშნული დავების გადაწყვეტისას სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ინტერესები, რომელთა ცენტრალიზებული ფონდების შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში შემავალი მეურნეობების ფინანსურ მდგომარეობაზე. დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე გაერთიანებაში მომუშავე პირების შრომითი უფლებების დაცვას. ამასთან დაკავშირებით სასამართლოებს განემარტათ, რომ იმ პირებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ ორგანიზაციებში, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობების მუშაკებზე, მათზეც ვრცელდება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კოოპერაციის ხელშეკრულების თაობაზე წარმოშობილი დავების განხილვის დროს.

ქვეყნის სასურსათო პროგრამის წარმატებით შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სასამართლოებისაგან მოითხოვს ბრძოლის გამკაცრებას არა მარტო სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული სამართალდარღვევების აღსაკვეთად, არამედ (პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიების ძირეულ სრულყოფას სამეურნეო ურთიერთობებში სოციალისტური კანონიერების განუხრელად განხორციელებისათვის.

ა. აბესაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ქრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ შეასუნთქვენ

ზარალი — შემაკვეთებს:

ალარც სამკაული,

ალარც საფასური

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ზუსტ ხელსაწყოთა და ლითონნაკეთობათა დამზადება-შეკეთების გაერთიანებისა და მეორე საოქრომჭედლო სალონის ხელმძღვანელობის უკანონო მოქმედება. ისინი იმიზეზებდნენ მცდარ ვერსიებს და აჭიანურებდნენ მე-2 საიუველირო სალონიდან ბანდიტების მიერ სამკაულების გაძარცვის შედეგად მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ამ კრიტიკული წერილის თაობაზე რედაქციას უპასუხა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა რ. კუპუნიძემ:

თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ შეისწავლა კრიტიკულ წერილში აღნიშნული ფაქტები. ისინი განიხილა სამმართველოს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის,ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ, რომელმაც თავისი გადაწყვეტილებით დაავალა გაერთიანების ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ზარალი დამკვეთებს ამკამად მოქმედი საცალო ფასებით. ამასთანავე მასალების ჩამოწერისადმი სათანადო კონტროლის დაუწესებლობისათვის გაერთიანების საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსს ლ. ბაბალოვს გამოეცხადა საყვედური.

გაერთიანებაში გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის მკაცრად გაიფრთხილეს გაერთიანების მთავარი ინჟინერი თ. ჭანიშვილი.

კომისიამ ცნობად მიიღო, რომ გაერთიანების ყოფილი დირექტორი გ. მაჭავარიანი ჩამოაქვეთეს თანამდებობით, ხოლო საკონტროლო სამსახურის სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რასაც სამეურნეო დისციპლინის დარღვევა მოჰყვა, სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს ვ. ხვადაგიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. დაისჯა აგრეთვე სამმართველოს მთავარი ბუღალტერი ა. ჯანეზაშვილი. გაერთიანების საბუღალტრო საქმიანობისადმი სუსტი კონტროლისათვის მას გამოეცხადა საყვედური.

გაერთიანების მთავარი ბუღალტრის ა. დუღაშვილის პასუხისმგებლობის საკითხზე კომისიამ იმსჯელა წლეულს 11 თებერვალს. საბუღალტრო აღრიცხვაში არსებული დარღვევებისა და მთელი რიგი ნაკლოვანებებისათვის, გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშების არასწორი შედგენისა და დაზარალებულ დამკვეთთა კუთვნილი თანხის კანონის მიხედვით აუნაზღაურებლობისათვის მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სათანადო ბრძანებით გაერთიანების დირექტორს ზ. ბანძიდაძეს დავალა განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა სალონებიდან რესპუბლიკის სასინჯი ზედამხედველობის ხელმწიფო ინსპექციაში სამკაულების გადატანის დროს მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისი პუნქტი და ამ შესრულების თაობაზე სამმართველოს აცნობოს მარტში.

ბრძანების შესრულებისადმი კონტროლი დაევალა სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს ვ. ხვადაგიანს.

წერილის გამო — „ზარალი — შემკვეთებს: აღარც სამკაული, აღარც საფასური“ — რედაქციას უპასუხეს აგრეთვე და მხილებული ფაქტები სწორად ცნეს საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა.

მიზანი: ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპი

დავიცვათ მოსახლეობასთან კოოპერირების საფუძველზე დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ნორმები

**მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ხარვეზებიც. „განა დასაშვებია, — აღნიშნავდა ე. ა. შევარდნაძე რესპუბლიკის პარტიულ სამეურნეო აქტივის კრებაზე წელს იანვარში — რომ ბევრ რაიონში, არსებითად თვითდინებაზეა მიშვებული მოსახლეობასთან კოოპერირებისა და მასთან მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისათვის მუშაობა? სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ან საერთოდ ვერ გაიგო დამზადების ახალი სისტემის არსი, ან უბრალოდ არ ძალუძს უხელმძღვანელოს ამ მუშაობას“. ეს მითითება უაღრესად საყურადღებოა სასამართლო ორგანოების მუშაკებისათვის, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ხელშეკრულების დარღვევისას წარმოშობილი დავების გადაწყვეტა. პირად დამხმარე მეურნეობებში კოოპერირების საფუძველზე პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდისა და შესყიდვის ემყარება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის იანვრის დადგენილებას „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. ანალოგიური ხასიათის დადგენილება მიიღეს ჩვენს რესპუბლიკაშიც. აღნიშნული აქტებით საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ნება მიეცათ, ხოლო კომეურნეობებს უფრიჭეს ნებაყოფლობის საფუძველზე ასეთი ხელშეკრულებების გაფორმება საზო

15 მარტი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები

საკლასო იუფყეგა

როგორ ვხვდებით ახალგაზრდა სპეციალისტს?

ქუთაისი. საავტომობილო ქარხნის გამმართველი ჯ. გუგავა ერთ-ერთი გამოჩენილი და ავტორიტეტული პიროვნებაა მარტო ქარხანაში კი არა, მთელ ქალაქში. იგი, როგორც დელეგატი, მონაწილეობდა XXVI ყრილობის მუშაობაში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად იგი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა.

საიდან მოვდა ჯ. გუგავა ქარხანაში? — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან. იქ ეზიარა პირველად მუშურ პროფესიას, იქ მიიღო საზოგადოებრივი და კომკავშირული მუშაობის წრთობა.

... რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდობის ერთ-ერთ საქალაქო მეკრებაზე სიტყვით რომ მქონდა, № 33 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ყოფილმა მოსწავლემ (ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წარჩინებულმა სტუდენტმა) დავით აბაკელიამ თქვა: „ჩემი მშობლები საავტომობილო ქარხნის სამსმენელო საამქროში მუშაობენ. თავის დროზე მათ პროფესიულ-ტექნიკური განათლება მიიღეს, სწორედ მათი გზით მივდივარ. მერე კი სურვილი მაქვს ელექტრომექანიკოსი გავხდე". დავითმა სიტყვა შეასრულა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნაყოფიერად იმუშავა ელექტრომექანიკურ ქარხანაში, შემდეგ წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და წარჩინებითაც სწავლობს. გვჯერა, რომ მისგან სანიმუშო სპეციალისტი დადგება.

ქუთაისის მოწინავე მუშათა ბევრი წარმმადგენელი ქალაქის, რესპუბლიკისა და ქვეყნის საბჭოების დეპუტატები, ამაყად რომ ატარებენ სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდებას, მუშათა კლასის რიგებში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან მოვიდნენ.

ამჟამად ქუთაისში თერთმეტი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია, სადაც მუშურ პროფესიას 4700 მოსწავლე ეუფლება. მარტო 1981-1982 წელს ამ სასწავლებლებში სახალხო მეურნეობისათვის მომზადდა 4.800 კვალიფიციური მუშა-სპეციალისტი. 1983 წელს სასწავლებლები 2700 სპეციალისტს გამოუშვებს, რაც 27 პროცენტით აღემატება 1975 წლის მაჩვენებელს. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმით, ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულების რიცხვმა 4 ათას კაცს უნდა გადააჭარბოს, რითაც მუშათა საერთო მომზადებაში მისი ხვედრითი წილი 70 პროცენტამდე გაიზრდება (დღეისათვის იგი მხოლოდ 34-36 პროცენტს შეადგენს), მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლომდე ქალაქში განსაზღვრული ორი ახალი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გახსნა — სამთო ქიმიური და მოტობლოკების ქარხნისათვის, რითაც მოსწავლეთა რაოდენობა 5200-მდე გაიზრდება. არსებული სასწავლებლების ტექნიკური აღჭურვისათვის საბაზო საწარმოები გამოყოფენ 360 ჩარხ-დანადგარს, 200 ათასი მანეთის ხელსაწყოიარაღებს, სასწავლებლების კეთილმოწყობა-რეკონსტრუქციისათვის შესრულდება მილიონი მანეთის სამუშაო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა სასწავლებელი იმუშავებს პროდუქციის დამზადებაზე. ახლა კი თერთმეტი სასწავლებლიდან მხოლოდ 4 სასწავლებელში ამზადებენ პროდუქციას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდობის მიღებას. ადრე ეს სასწავლებლები შევსებას ძირითადად რიონებიდან იღებდნენ, ბოლო სამ წელიწადში კი ქალაქის ახალგაზრდობის რიცხვი მიღებულთა შორის 45 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ საერთო რაოდენობაში მაინც ნახევარზე ნაკლებია. ასეთია ზოგადი ციფრები, რობრივი მონაცემები, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, თუ სად მიდიან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები, ყველანი არიან თუ არა დანიშნულებისამებრ დასაქმებულნი?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია დანიშნულებისამებრ მუშა სპეციალისტების გამოყენება. ამ საქმეში სცოდავენ თვით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიცა და საბაზო საწარმოებიც. ერთეული როდია ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ უყურადღებობისა და გულგრილობის ფაქტებიც. სწორედ ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთერთმეტე პლენუმზე. „ქუთაისის საავტომობილო ქარხანას მუშათა კადრებით უზრუნველყოფს, უფრო სწორად, უნდა უზრუნველყოფდეს ოთხი პროფესიულ-ტექნიკური და ორი ტექნიკური სასწავლებელი, რომლებიც ყოველწლიურად 900 კაცს უშვებენ. მაგრამ მიმდინარე წელს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, აქ დამკვიდრდა მხოლოდ 400 კაცი, ხოლო თვით ქარხნის მონაცემებით — მხოლოდ 130. თავად ეს სხვაობა ადასტურებს, რომ არ არის სისტემატიურობა".

ჩვენ ვთხოვეთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახლადშექმნილი პროფტექნიკური სასწავლებლების განყოფილების გამგეს ვ. ჩაკვეტაძეს აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე:

— პლენუმზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა სავსებით მართებული და ობიექტურია, — აღნიშნა მან, — მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საავტომობილო ქარხნის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები არ ასრულებენ სადირექტივო ორგანოების მითითებას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან კავშირ-ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების თაობაზე. ამის საილუსტრაციოდ ერთი ფაქტიც კმარა: ქარხნის დირექციის თხოვნით, 1982 წლის 1 ივნისისათვის, ვადაზე თვენახევრით ადრე, მიზნობრივი სტაჟირებისათვის კმინ საავტომობილო ქარხანაში გაიგზავნა 124 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული: ადგილზე მათი ჩასვლისას გამოირკვა, რომ იქ მხოლოდ 100 ახალგაზრდისათვის იყო ადგილი, დანარჩენი 24 კურსდამთავრებული გაგზავნეს ქარხნის ფილიალში. შეპირებული სამჯერადი კვების ნაცვლად ახალგაზრდებს ეძლეოდათ ერთჯერადი კვება, 100 მანეთის ნაცვლად, — 80 მანეთი, ყველა მათგანმა ვერ მიიღო ფასიანი სამუშაო, რის შედეგად 22 ახალგაზრდამ ვადაზე ადრე მიატოვა ქარხანა, დანარჩენი 102 ახალგაზრდა, რომლებიც სეპტემბრის შუა რიცხვებში დაბრუნდა ქუთაისში, დროულად ვერ დაასაქმეს, ამჟამად 124 სტაჟირებული ახალგაზრდიდან სავატომობილო ქარხანაში მუშაობს მხოლოდ 40. ეს იმ დროს, როცა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბევრი კურსდამთავრებული ოცნებობს საავტომობილო ქარხანაში მუშაობაზე. სწორედ ამის შესახებ წერდა 1982 წლის პირველ დეკემბერს საქარხნო გაზეთი „ლენინელი".

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და საბაზო სამრეწველო საწარმოს კავშირურთიერთობის კარგ მაგალითად ასახელებენ № 42 ტექნიკური სასწავლებლის (დირექტორი ი. ბასილაძე) და ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების (დირექტორი გ. შენგელია) პრაქტიკაში დამკვიდრებულ დამოკიდებულებას. 1981-1982 სასწავლო წელს გაერთიანებამ მთლიანად აღჭურვა სასწავლებელთა სახელოსნოები ახალი ტიპის საკერავი მანქანებით. ყოველწლიურად აქ მოსწავლეები ამზადებენ 80 ათასი მანეთის პროდუქციას. დირექციის განკარგულებით სასწავლებლის მოსწავლეებს ეძლევათ დანამატი პირველი თანრიგის მუშის ხელფასამდე, მათ უზრუნველყოფენ ყველა სახის მომსახურებით, ფასიანი სამუშაო ადგილებით. პრაქტიკის პერიოდში მათთვის გამოყოფენ ხოლმე — ოსტატებსა და დამრიგებლებს, ანაწილებენ კომპლექსურ და კომკავშირულ ბრიგადებში. სწორედ ასეთი ურთიერთობა უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა საწარმოში დამკვიდრების მაჩვენებელი 75 პროცენტია, გაცილებით მეტი, ვიდრე საკავშირო მაჩვენებელი (იგი შეადგენს 42-45 პროცენტს).

აი, რა გვიამბო № 1 სამშენებლო ტრესტისა და № 21 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ურთიერთობის შესახებ სასწავლებლის დირექტორმა ლ. გიორგაძემ:

— ბოლო წლებში საბაზო საწარმოს — № 4 სამშენებლო ტრესტსა და ჩვენს პროფტექნიკურ სასწავლებელს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუმჯობესდა. ტრესტის საწარმოო თათბირებს ყოველი კვირის პარასკევს ესწრება სასწავლებლის დირექტორი ან ერთ-ერთი მოადგილე, ასევე სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებს ან გაერთიანებულ თათბირებს ესწრება ტრესტის მმართველის ერთ-ერთი მოადგილე, საჭიროების შემთხვევაში კი ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ან თვით ტრესტის მმართველი. ასეთი კონტაქტებით შესაძლებელი გახდა ორივე მხარე არსებითად გარკვეულიყო მათთვის საინტერესო საკითხებში და ეფექტიანად გადაგვეწყვიტა წამოჭრილი პრობლემები.

ტრესტის ხელმძღვანელები და პარტიული კომიტეტი უშუალოდ დაინტერესდნენ სასწავლებლის საქმიანობით, ჩვენი პრობლემებითა და პერსპექტივებით. დღეს-დღეობით მოგვარდა საკვარეიშო მასალების მოწოდება, ფასიანი პრაქტიკის ადგილების გამოყოფა, მოსწავლეების ბრიგადებში განაწილება, დამრიგებელ-შეფების გამოყოფა, წილობრივი მონაწილეობის მიღება სასწავლებლის კაპიტალურ რემონტში და სხვა. მარტო შარშან სასწავლებელმა ტრესტიდან მიიღო 10 ათასი მანეთის სავარჯიშო მასალები, 9 დასახელების ჩარხ-დანადგარი, სასწავლო კორპუსის ორი სართულის მოპირკეთება მიმდინარეს ტრესტის მიერ გამოყოფილი მასალებით.

ასეთი დახმარებითა და თანამშრომლობით სასწავლებელში ძირეულად გარდაიქმნა სასწავლო პროცესი, განსაკუთრებით საწარმოო სწავლება, შესაძლებელი გახდა სასწავლო პროგრამების მთლიანი შესრულება. მოსწავლეების კვალიფიკაცია მოითხოვებს აკმაყოფილებს. სწავლების პერიოდში მოსწავლეები ეუფლებიან ორ-სამ პროფესიას, რის შემდეგ ადვილი ხდება მათი დასაქმება. მარტო შარშან ტრესტის მშენებარე ობიექტებზე მოსწავლეებმა 137 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს.

№ 4 სამშენებლო ტრესტის ქმართველის ბრძანებით ერთი თვის ხელფასით დაჯილდოდნენ სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატები გ. გიორგხელიძე და ო. ცერცვაძე, რომელთა მოსწავლეებმა თავი გამოიჩინეს გასაშვებ ობიექტზე — ავტოქარხნის აგრეგატულ კორპუსზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებით. ასეთი ფაქტები ერთეული არ არის.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო საწარმოს პარტიული კომიტეტი (მდივანი გ. ამირჯანშვილი) სისტემატიურად ზრუნავს № 37 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისათვის. იგი თავის სხდომებზე პერიოდულად განიხილავს საწარმოსა და სასწავლებლის კავშირურთიერთობის გაუმჯობესების საკითხებს. მაგალითად, შარშან წლის ბოლოს პარტიულ კომიტეტმა განიხილეს საკითხი სასწავლებლიდან საწარმოში გადმორიცხულ კურსდამთავრებულთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების მიზნით საწარმოს საგაურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. პარტიულმა კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა ცალკეულ საწარმოებსა და საამქროებში სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მათს დამაგრებას საწარმოში.

ასეთი ფაქტები ერთეული როდია, მაგრამ, ამის მიუხედავად, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებიდან შარშან სამუშაოზე არ გამოცხადდა ან თვითნებურად დატოვა სამუშაო 247 ახალგაზრდამ.

რაშია საქმე, რატომ მოხდა ასე? ამის მიზეზების გარკვევა ყველაზე უფრო თავად პროფსასწავლებლებსა და წარმოებებს შეუძლიათ და ვვალებთ.

ჯერ კი, პირველ რიგში, ისევ და ისევ მწვავე პრობლემად რჩება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების საკითხი. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო რგოლიდან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში გზავნილ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს, ამჟამად ეს საქმე ერთგვარად გაუმჯობესდა. როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფტექნიკური სასწავლებლების განყოფილებაში გვითხრეს, ოთხასან და ხუთასან მოსწავლეთა კონტინგენტი სასწავლებლებში 20 პროცენტამდე გაიზარდაო, მაგრამ უკვე არასაკმარისია აღმზრდელთა მომზადების დონეო. ოსტატთა შემადგენლობის მხოლოდ 17 პროცენტია უმაღლესდამთავრებული. არის სხვა მტკივნეული საკითხებიც, მაგალითად, სასწავლებლების აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითი გაუმჯობესება და სხვა.

ერთი სიტყვით, საქმე და საფიქრალი ბევრია. ფაქტი ეს არის: ყველა ღონისძიება უნდა განხორციელდეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სრულყოფისათვის!

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ძიაშის ინტერვიუ

თბილისში სამ დღეს იმყოფებოდა ჩინეთის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ძიაში.

სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ექსპონატები, იყვნენ მცხეთასა და გორში.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ვახშამი გაუმართეს ჩინეთის დელეგაციას.

13 მარტს დელეგაცია თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა.

გამგზავრების წინ ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა ძიაშიმ ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს იური გოლდმანს.

— როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საქართველომ?

— კმაყოფილი ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა ჩამოვსულიყავით საბჭოთა საქართველოში, მის მშვენიერ დედაქალაქ თბილისში. ეს ძველი ისტორიის, გმირული ტრადიციების მქონე ქალაქია, წალკოტია. მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

ჩვენ დავათვალიერეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, გავეცანით ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ ეკონომიკისა და კულტურის წარმატებებს, და დავრწმუნდით, თუ რა სწრაფად ვითარდება თქვენი რესპუბლიკის ეკონომიკა. დიდი ხნით დაგვამახსოვრდება საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში სტუმრობაც.

— როგორ აფასებთ სსრ კავშირისა და ჩინეთის საგარეო მოლაპარაკების შედეგებს, რომელიც ახლახან დამთავრდა მოსკოვში, და როგორია, თქვენი აზრით, ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები?

— ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის 1983 წლის სავაჭრო მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. მოლაპარაკებას გაცილებით ნაკლები დრო მოვახმარეთ, ვიდრე წინათ, დასახულია ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა, შარშანდელთან შედარებით იგი 2,7-ჯერ გაიზრდება. გაფართოვდა ერთმანეთისათვის მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტი, ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა სავაჭრო მოლაპარაკების შედეგების გამო. ვფიქრობ, თუ მხარეები გამოიჩენენ გულწრფელ მისწრაფებას ვაჭრობის განვითარებისადმი, ამ დარგში ფართო პერსპექტივები დაისახება.

დარწმუნებული ვარ, რომ, თუ დავიცავთ თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელობის პრინციპს და გავითვალისწინებთ მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებს, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა კიდევ უფრო განვითარდება.

მინდა ვუსურვო საბჭოთა საქართველოს, მის ძველ დედაქალაქს შემდგომი წარმატებები და აყვავება, — თქვა დასასრულ ძიაშიმ. — ვისარგებლებ შემთხვევით და მხურვალედ მივესალმები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მცხოვრებთ. (საქინფორმი).

სოციალისტურ ქვეყნებში

● ბულგარეთი

ახალი პროფილაქტორიუმი

სოფია. პლევენის ნავთობქიმიური კომბინატის პოლიკლინიკასთან არსებულმა პროფილაქტორიუმმა სტუმარმომყვარულად მიიღო პირველი დამსვენებლები. სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილია კომბინატის პოლიკლინიკის ძალებით. 140 ადგილისათვის გათვალისწინებული ახალი პროფილაქტორიუმი საშუალებას მისცემს საწარმოს თითოეულ მუშაკს ყოველ წელს მორიგი შვებულების გარდა, აქ უფასოდ გაატაროს ორი კვირა.

შრომელთა დასვენებასა და მკურნალობას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა. ახლა მშრომელებს ემსახურება ქვეყნის ყველაზე ლამაზ ადგილებში აშენებული დაახლოებით 17 ათასი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი. საგზურების ღირებულების ნახევარს იხდიან სახელმწიფო და პროფკავშირები.

დიდი ყურადღება ეთმობა პროფკავშირების ახალი დასასვენებელი ბაზების მშენებლობას, უმთავრესად მინერალური წყაროებისა და ხელსაყრელი კლიმატის რაიონებში. უახლოესი წლებისათვის გათვალისწინებულია შვიდი დიდი ჯანმრთელობის კერის მშენებლობა.

● უნგრეთი

კოოპერატორთა წარმატებები

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში მთავრდება სანგარიშო კრებები, რომლებზეც კოოპერატორებმა შეაჯამეს შარშანდელი შრომის შედეგები და დასახეს მომავალი წლის ამოცანები. კრებები მოწმობს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება რესპუბლიკაში ნიადაგ იზრდება, სულ უფრო ვრცელდება წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია, ფართოდ იყენებენ აგრარული მეცნიერების მიღწევებს.

შარშან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს დავალებანი. კოოპერაციული მეურნეობების პროდუქციის წარმოება შარშანდელთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა, რამაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საშუალო ტემპს. სახელმწიფო მეურნეობის კოლექტივებთან ერთად კოოპერატორებმა მოიწიეს მარცვლეულის რეკორდული მოსავალი — 14 მილიონ ტონაზე მეტი. მნიშვნელოვნად განმტკიცდა კოოპერაციული მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

● კუბა

ახალგაზრდობის დიდი წვლილი

ჰავანა. „ყოველმხრივ დავზოგოთ სათადარიგო ნაწილები, აღვადგინოთ მანქანების გაცვეთილი დეტალები!" — ასეთი დევიზით ფართოვდება თავისუფლების კუნძულზე კოლექტივების მუშათა სოციალისტური შეჯიბრება. 1983 წელს მთლიანად ქვეყანაში აღდგენენ 55 მილიონი პესოს დეტალებს და დაზოგავენ სათადარიგო ნაწილებს.

ამ მოძრაობაში დიდი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდულ ბრიგადებს. მარტო ბოლო თვეების მანძილზე ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის 10 ათასზე მეტმა წევრმა — ხარატებმა, ზეინკალ-მექანიკოსებმა და კუბის პროლეტარიატის ახალგაზრდა თაობის სხვა წარმომადგენლებმა — შეაკეთეს 4,4 მილიონი პესოს ღირებულების დეტალები.

კუბის ინდუსტრიის მოწინავე საწარმოების მშრომელები, რომლებიც ნებაყოფლობით მუშაობენ, როგორც წესი, საწარმოო ცვლის დამთავრების შემდეგ, ახლა გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ.

● ეგვიპტე

პროვოკაციული ვიზიტი

კაირო. ეგვიპტის ალექსანდრიის ნავსადგურში ხუთი დღის ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის ატომური ავიამზიდი „ნიმიცი" ამერიკის შეერთებული შტატების ხამხედრო-საზღვაო ძალების ორი ხომალდის — ხაესკადრო ნაღმსახან „ფარაგატისა" და მაზეული გემის „რიკავერის" თანხლებით. ავიამზიდზე იმყოფება 6 ათასი ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთი უდიდესი საბრძოლო ხომალდი ზღვიდან იკავებდა ლიბანის მრავალეროვანი ძალების შემადგენლობაში შემავალ ამერიკის ჯარის ნაწილებს, ხოლო თებერვლის შუა რიცხვებში პროვოკაციულ მანევრებს აწყობდა ხმელთაშუა ზღვაში ლიბიის ტერიტორიული წყლების მახლობლად.

„საერთო ბაზარი"

დაძაბული სესია

ბრიუსელი. ძნელი და დაძაბული იქნება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს ორი დღის სესია, რომელიც გაიხსნა იქ და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მიმდინარეობს. სესიის დღის წესრიგში შეტანილია ბევრი ისეთი საკითხი, რომლებზეც სერიოზული უთანხმოებანია.

განსაკუთრებით მწვავეა საკითხი, რომელიც უკავშირდება ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში პორტუგალიის შესვლის შესახებ მოლაპარაკების ახალ რაუნდს. როგორც ცნობილია, „საერთო ბაზარი" მოითხოვს, რომ პორტუგალიამ შეამციროს თავისი სოფლის მეურნეობის პროდუქციის, კერძოდ, ხილის, ბოსტნეულის, ზეიფუნის ზეთისა და ღვინის წარმოება. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შიშობენ, ვაი თუ პორტუგალიის სოფლის მეურნეობის პროდუქციამ ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-7 კონფერენციის ბიუროში.

მიტინგზე გამოსვლისას გრენადის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად პენტაგონის სტრატეგიები ინტერვენციონისტული აქციის დეტალებს ამუშავებენ. მან თქვა, რომ კუნძულიდან 100 მილი რადიუსით იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ექვსი ხომალდი, მათ შორის სადესანტო გემი „ნეშვილი", რომელზეც დაახლოებით 500 ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცია. „ეს უბრალო დამთხვევა როდია, — თქვა მ. ბიშოპმა. — ამერიკის მხედრობის მილიტარისტული ფუსფუსი გრენადის გარშემო სერიოზულ შეშფოთებას იწვევს".

იმპერიალისტური აგრესიის სერიოზული საფრთხის წინაშე გრენადის ხელმძღვანელმა მოუწოდა ხალხს კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმოს რევოლუციური მთავრობის გარშემო, განამტკიცოს თავისი ერთიანობა, ძალ-ღონე არ დაიშუროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

● ინგლისი

მოითხოვენ გრძოლის გააქტიურებას

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა მოითხოვა გააქტიურონ ბრძოლა მ. ტეტჩერის კონსერვატორთა მთავრობის ანტიხალხური კურსის წინააღმდეგ. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს აქ გამართულ სხდომაზე ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა ქვეყანაში შექმნას პირობები, რათა ხელისუფლებას ჩამოაშორონ კონსერვატორები. ამისათვის საჭიროა განმტკიცდეს იმათი რიგების ერთიანობა, ვინც გამოდის კონსერვატორთა კაბინეტის კურსის წინააღმდეგ.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის პოლიტიკური კომიტეტის წევრმა ჯ. კოენმა განაცხადა, რომ ინგლისელი კომუნისტები კვლავაც ფართოდ დაუჭერენ მხარს ინგლისის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც გამოდიან მ. ტეტჩერისა და მისი მინისტრების მილიტარისტული მისწრაფებების წინააღმდეგ.

● გერმანია

საშიში ვითარების წინააღმდეგ

ბონი. „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მტკიცედ იხარჯავს მიზნად მიაღწიოს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი ამერიკული ხაშუალო ხიშორის ბირთვული რაკეტების განლაგება ხელმეტი გახდეს. სწორედ ამიტომ, სოციალ-დემოკრატებს განზრახული აქვთ კვლავაც დაბეჯითებით მიაყრონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება ამ გარემოებას და გულდასმით გააკონტროლონ მისი მოქმედება ამ დარგში". — ნათქვამია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის საგარეო-პოლიტიკურ საკითხთა ექსპერტის კარსტენ ფოიგტის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა პარტიის პრესბიულეტენში.

„დრო არ ითმენს, — თქვა მან, — 1983 წლის შემოდგომისათვის ევროპის მოლაპარაკებაზე ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ უნდა მივაღწიოთ ორივე მხარის დამაკმაყოფილებელ კომპრომისს. აი რატომ არის, რომ მოვითხოვთ დასავლეთის დაუყოვნებლივ შეჩხვედრ წინადადებებს, მოვითხოვთ თანამიმდევრულობას მოლაპარაკების წარმოებაში".

ჯ. ფოიგტმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია კვლავინდებურად გმობს ავტომატიზმს ნატოს ბირთვულ-სარაკეტო გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში მაშინაც კი, თუ ეენეკის ამშემოდგომინდელ სესიაზე დადებითს შედეგს ვერ მიაღწევენ.

● ლონდონი

ინგლისის დედაქალაქში გაიმართა საპრეტესტო დემონსტრაცია ჩრდილოეთ ირლანდიაში ბრიტანეთის ხელისუფალთა კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. დემონსტრაციაზე მოეწყო ბრიტანეთისა და ირლანდიის მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით. დემონსტრანტებმა გადაჭრით დაგმეს მ. ტეტჩერის კონსერვატორთა მთავრობის კურსი ოლსტერის მიმართ, კონსერვატორთა ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკა, მათი ცდები ჩახშონ მოძრაობა მოქალაქეობრივი უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლებების დასაცავად, რომელიც სულ უფრო იზრდება ჩრდილოეთირლანდიელთა შორის.

● ბონი

ძალაან კობეში გაიმართა „მწვანეთა პარტიის" დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობაზე მიღებული პროგრამა მოუწოდებს იბრძოლონ „ომისა და ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის". „მწვანეთა პარტია" აპირებს წამოაყენოს თავისი კანდიდატები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებზე, რომლებიც აპრილში გაიმართება.

● ლუანდა

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში კიდევ 200 მსმენელმა დამთავრა პოლიტიკური სწავლების ოთხთვიანი კურსები. სწავლების პროცესში პარტიული, ახალგაზრდული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივისტებმა გაიღრმავეს ცოდნა პარტიული მშენებლობის, პოლიტიკური ეკონომიის, პროპაგანდისა და აგიტაციის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლების დარგში.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სწავლების ანალოგიური კურსები ახლა ანგოლის ბევრ პროვინციაში მოქმედებს. მარტო ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ასეთი კურსები შექმნილია ქალაქის ზუთ რაიონში.

● პარიზი

სტრასბურგის სახამართლომ ერთი წლის პატიმრობა და დიდი ჯარიმა მიუსაჯა მეწარმე ტ. რაეს — იმ შვიდი კომპანიიდან ერთ-ერთის მფლობელს, რომელებსაც ბრალი მიუძღვის გარემოს გაჭუჭყიანებაში.

ხუთი წლის განმავლობაში ამ ფრანგულ და დასავლეთგერმანულ ფირმებს სოლიდური მისაგებლის გულისათვის უკანონოდ გადაჰქონდათ შხამიანი სამრეწველო ნარჩენები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საფრანგეთში და ყრიდნენ მათ ქალაქის სანაგვეზე, ან ფლავდნენ მიწაში ქვემო რაინის დეპარტამენტის მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის სტრასბურგშიც.

ფოტოფაქტი

დაუსჯელი დანაშაული

ამერიკელი ჯალათების მიერ ვიეტნამის ხონგმის თემის მშვიდობიან მცხოვრებთა ამოწყვეტის 15 წლისთავის გამო



მწუხარე დედის ფიგურა, ბავშვები და მოხუცები... დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი ეს მონუმენტი აღმართულია სონგმის თემის სოფელ თხოუნეინის ადგილას, რომლის მცხოვრებლები მოლიანად ამოწყლიტეს ამერიკელმა ჯალათებმა.

1968 წლის 16 მარტს დილით თემის სოფლებში ამერიკის შეერთებული შტატების მსედრიონმა მრავალთაგან ერთ-ერთი ამაზრზენი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა! მხეცურად მოკლეს 504 კაცი, მათ შორის 182 ქალი, რომელთაგან 17 დედა უნდა გამხდარიყო, 173 ბავშვი, რომელთაგან 56-ს ხუთი თვეც არ შესრულებოდა. სონგმის დანაშაული შემთხვევითი აქცია არ ყოფილა. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი ტერორისტული ოპერაცია, რომელიც „ყველაზე ცივილიზებული ქვეყნის" ადამიანის სახედაკარგულმა წარმომადგენლებმა განახორციელეს.

ამერიკის არმიის ჯარისკაცების ფორმაში გამონყობილ მკვლელთა (სურათზე ქვემოთ მარჯვნივ) მიერ ჩადენილმა სისხლიანმა ბოროტმოქმედებამ სონგმი ლიდიცის, ხატინის, ორადურის გვერდით დააყენა. ამ

ინფორმაცია — 83 • დრო, მოვლენები, ფაქტები

ერთი არქტიკაში იბრძოდნენ

იმ მეომართა შორის, რომლებიც მკერდით იცავდნენ საბჭოთა არქტიკას დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები იყვნენ. მტერზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს **საქართველოს მამაცმა** შვილებმაც. ძაგრად თუ ისეთი სახელმოხვეჭილი გმირების სახელი, როგორებიც იყვნენ მესამე რანგის კაპიტანი **ი. ოსელიანი** ან კაპიტან-ლეიტენანტი **ა. დუგლაძე**, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, ნაკლებად ცნობილი არიან მათი ის თანამებრძოლენი, რომლებიც, ერთი შეხედვით, არქტიკის აუზში საზღვაოტვირთხიდვასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ სამუშაოს ასრულებდნენ. მაგრამ ეს მუშაობა ხშირად ისევე გმირული და საშიში იყო, როგორც სამხედრო მეზღვაურების საქმიანობა.

ფაშისტური უმაღლესი სარდლობის 1941 წლის 29 სექტემბრის სპეციალურ დირექტივაში გერმანიის საზღვაო სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე დაისახა ამოცანა ჩაეშალათ საბჭოთა არქტიკის ნავსადგურებში ტვირთის გადახიდვა და ამ ნავსადგურებიდან სამრეწველო პროდუქციის გატანა. ჰიტლერელი სტრატეგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კრასნოიარსკის იმპერიულ კომუნიკაციების დარღვევას ნორდვიკიდან იგარკამდე. მაგრამ ადმირალ რედერის გეგმების ახდენა არ ეწერა. მათ გზა გადაუღობა ჩრდილოეთის ათასობით დამცველმა-მფრინავებმა, სამხედრო მეზღვაურებმა, ქვეითებმა, სავაჭრო ფლოტის მეზღვაურებმა.

1942 წლის აგვისტოში გემი „ისკრა“ შეუპოვოდ მიიწევდა ჩუკოტკის ზღვის ყინულებში დიქსონისაკენ. მას მეთაურობდა ახალგაზრდა კაპიტანი **შალვა ასათიანი**, რომელმაც მტკიცედ დაიმკვიდრა მცოდნე და მამაცი კაპიტნის არხალგენსკელი ისტორიკოსი ი. ნ. კუჩეკატოვი, როცა ასახელებს გმირი გემის „პროლეტარის“ ეკიპაჟის საუკეთესო ენერგებს, წერს „ბრძოლაში უშიშროებით გამოირჩეოდა კაპიტან ვორონცოვის უფროსი თანაშემწე, მესამე შტურმანი **ცინცაძე**. ცეცხლფარეში მაქსიმენკო“. უშიშრობა! ვერ მონახავ სხვა, უფრო ზუსტ სიტყვას, როცა ლაპარაკია ვ. ვ. ციხეაძისნაირ ადამიანებზე! სახელი. ეს პატარა გემი, რომლის გაქვეოტლური მილიდან ბოლქბოლქად ამოდიოდა კვამლი, ერთი ნაბიჯითაც კი არ რჩებოდა უკან ქარავანს, რომელიც თანამედროვე ხომალდებისგან შესდგებოდა. კაპიტანი ასათიანი, რომელიც დღეადამ ბოგაზე იდგა, მთელი თავისი გამოცდილებისა და ნიჭის მობილიზაციის გზით ცდილობდა არ შეეწყვეტინა „ისკრის“ წინსვლა. მას ესმოდა. რომ ამ დღეებში ჩრდილოეთში ყოველი გემი —დიდი თუ პატარა, ოქროდ ფასობდა. მათ ელოდებოდნენ დიქსონზე, მურმანსკში მათ შესახვედრად გაგზავნა მაშველი ხომალდები. ქარავნის მოძრაობის ცნობებს ყოველდღიურად კითხულობდა მოსკოვი.

საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც, 1943 წლის 30 მარტი, როცა იმიერპოლარეთში მორიგი რეისის დროს სუსტად შეიარაღებულ „პროლეტარს“ ოთხჯერ დაესხნენ თავს ფაშისტთა ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები, რომელთა ჯგუფებში ექვსი-რვა მანქანა იყო. ჟურვებისა და ტყვიის წვიმაში, რომელმაც, მართლაც რომ, დაცხრილა, ბოგა, შტურმან ცინცაძეს ერთი წამითაც არ მიუტოვებია თავისი პოსტი, ზუსტი მანევრირებით გადაარჩინა გემი ბომბებისაგან, რომლებიც მის ირგვლივ ცვიოდა. ვ. ვ. ცინცაძემ უფროს თანაშემწეს ჩააბარა ვახტი და პირადი მონაწილეობა მიიღო ჰიტლერელთა სვავების ახალი ეშელონების მოგერიებაში, შემდეგ კი კვლავ ბოგას დაუბრუნდა. „პროლეტარმა“ გაიმარჯვა მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან ყველა შერკინებაში და არათუ მშვიდობით ჩაიტანა თავისი ტვირთი, ღირსეული პასუხიც გასცა ფაშისტებს: ერთ-ერთი „ფოკვულფი“ სამუდამოდ დარჩა ზღვის ფსკერზე. 1944 წლის 5 დეკემბრამდე, როცა გემი დაიღუპა ვერმანელთა წყალქვეშა ნავიდან ნასროლი ტორპედოს მეორი ფაშისტური საესკადრო ნაღმოსნის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლაში — აი სულ რამდენიმე ფაქტი ამ გემის სახელოვანი ბიოგრაფიიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ცნობილი ფილმის „მეჩვიდმეტე ტრანსატლანტიკურის“ სცენარს. სავაჭრო ფლოტის ისტორიის, მკვლევარი ნ. ა. კოლოტოვი „დონბასის“ ეკიპაჟის ყველაზე თავგამოჩენილ წევრებს, შორის თავის ნაშრომში „ცეცხლში გახვეული ოკეანე“ იხსენიებს კაპიტნის მეოთხე თანაშემწეს **ნ. დ. კალანდაძეს** და მეზღვაურ **გახოკიძეს**. გემის დაღუპვის შემდეგ საწყალოთ გადარჩენილმა გახოკიძემ ჰიტლერული დილეგებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ყველა საშინელება გამოიარა და არსად არ შეურცხვენია საბჭოთა მეზღვაურის პატიოსანი სახელი.

იგარკასა და ხატანგში, უსტ-პორტსა და დიქსონში, ნორდვიკსა და დუდინკაში დაპყავდათ გემები **საქართველოს სახელოვან შვილებს**, რომლებმაც მტერთან ბრძოლაში არ იცოდნენ რა იყო შიში და დაღლილობა. ბევრმა მათგანმა დიდი ხნით დაუკავშირა თავისი ბედი ჩრდილოეთს — ომისშემდგომ წლებშიც განაგრძობდა მშვიდობიანი ტვირთის გადაზიდვას არქტიკის ოდესღაც მრისხანე საზღვაო გზებით.

რ. გორჩაკოვი,
გაზ. „კრასნოიარსკი რაბოჩი“.

ვეტერანი მუშის იუბილე

წყალტუბო. (საკ. კორ.). მრრომელი კაცის ამაგის დაფასება გახლდათ საქგუმბრინის მუშათა სამმართველოს მოწინავე მუშის, საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის იონა სინაურიძის საწარმოში მუშაობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

წარმოებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საპატიო სიგელით ი. სინაურიძის დაჯილდოების შესახებ გამოაქვეყნა და მაღალი ჯილდო ვეტერან მუშას გადასცა წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. კახიანმა. საწარმოს დირექტორმა ლ. გურგენიძემ წაიკითხა დირექციისა და პროფორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილება ი. სინაურიძისთვის კოლექტივის სახაბრო წევრის წოდების მინიჭების შესახებ. მუშის შრომითი გზა და საბრძოლო დამსახურება დამსწრეთ გააცნო პარტბიუროს მდივანმა რ. ცხაკაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საწარმოს კოლექტივში 1976 წლიდან დაწესებულია ი. სინაურიძის სახელობის პრიზი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ყველაზე გამოჩენილ მაღარელს. 1982 წლის შედეგების მიხედვით იგი დაიმსახურა გვირაბგამყვანმა გ. ჩირგაძემ, რომელსაც პირადად იუბილარმა გადასცა ეს ჯილდო.

მუშა-დამრიგებელს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მისმა აღზრდილებმა — ცვლის უფროსმა პ. გურეშიძემ, გვირაბგამყვანებმა რ. მიქაძემ და გ. ჩირგაძემ, კადრების განყოფილების გამგემ ა. ფანჩულიძემ და სხვებმა.

„ზაფხულის“ დროზე

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და საეტალონო სიხშირეების სახელმწიფო კომისია იუწყება, რომ 1983 წლის 1 აპრილიდან საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შემოღებული იქნება „ზაფხულის“ დრო.

„ზაფხულის“ დროზე გადასვლა მოხდება 1 აპრილს 0 საათზე, ამ დროს საათის ისარი უნდა გადაიწიოს ერთი საათით წინ.

ადგილობრივი პრესის ფურცლებზე

რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებამ მეცხოველის დღე დაიწესა. იგი გაიმართება საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველი თვის 5 რიცხვში, ხოლო წლის ბოლოს, შეჯიბრების შედეგების დაჯამების შემდეგ, გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით. შეჯიბრების მიზანია მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება და უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად მეცხოველეთა დაინტერესება. (**„წითელი დროშა“, მაიაკოვსკი**).

* * *

ფშაველის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სანიორელთა მიბაძვით გადაწყვიტეს სკოლის ეზოში კაკლის ხეივანი და ლიმონის ბაღი გააშენონ. მოსწავლეები გულდასმით შეუდგნენ საქმეს. უვლიან ნერგებს, რომ შემდეგ ნაკვეთში დარგონ და ახარონ. (**„ალაზნის განთიადი“. თელავი**).

* * *

ბალოვანის საფოსტო განყოფილების დოღორის უბანში ფოსტალიონად მუშაობს ნათელა ტეფნაძე. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, დროულად აბარებს ადრესატებს საფოსტო გზავნილებსა და ჟურნალ-გაზეთებს. მეექვსე წელია იგი ამ უბანს ემსახურება. მოსახლეობაში სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. საქმიანი, ყურადღებიანი, თავაზიანი, — ასე იცნობენ ხუთი შვილის დედას— ნათელას დოღორეთში. (**„ახალი ცხოვრება“, საჩხერე**).

* * *

დიდი სიხარული ეწვიათ ხობელ მოზარდებს. გიიხსნა საცურაო კომპლექსის „იმედის“ ორი მცირე აუზი მოზარდებისათვის. გოგონები და ბიჭუნები უკვე შეუდგნენ მეცადინეობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპორტსმენები. (**„კომუნისტის მშენებელი“, ხობი**).

ძნელი ამოცანა

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის პირველი წრის მატჩები (თამაშდება VII-XII ადგილები). ამ ტურის ბოლო ორი მატჩი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისის „ქარიშხალა“) გუნდმა გამართა ლენინგრადის „ნევასთან“ და კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი ი ბ გუნდთან. თბილისელ ე ბ მა ორივე შეხვედრა მოიგეს — 35:33 და 23:20. იმის გამო, რომ რიგის „ცელტნიექსი“ საერთაშორისო ტურნირზე რუმინეთს გაემგზავრა. მისი მატჩი „ნევასთან“ ვერ მოეწყო. გამოტოვებული შეხვედრა გაიმართება ლენინგრადში მეორე წრის მატჩების დაწყების წინ (მეორე წრის მატჩების გამართვა ნავარაუდევია მაისისათვის).

დასკვნითი წრის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ჩელიაბინსკის „პოლიტტი“ — 23 ქულა, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 22, კიევის ასკ — 18, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 17, რიგის „ცელტნიექსი“ — 16, ლენინგრადის „ნევა“ — 16 ქულა. საქართველოს ხელბურთელებს წინ ერთობ ძნელი პრობლემების გადაწყვეტა ელით, ვინაიდან ბოლო, XII ადგილზე გასული გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილს დაუთმობს I ლიგაში გამარჯვებულს. იმ გუნდებმა კი, რომლებიც X-XI ადგილებს დაიკავებენ, I ლიგის II და III პრეზიორებთან ერთად უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებისათვის უნდა იბრძოლონ. ამ ოთხეულს შორის ვინც პირველ ორ საუკეთესო ადგილს დაიკავებს, ის ითამაშებს გაისად უმაღლეს ლიგაში, ჯერჯერობით თბილისელები X ადგილზე არიან და მათი უმთავრესი ამოცანაა ლენინგრადში სულ ცოტა, IX ადგილზე გადაინაცვლონ, რათა სათუო არ გახადონ უმაღლეს ლიგაში დარჩენა.

ზაფხულში?

როგორც ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ იტყობინება, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ რ. ფიშერს კიდევ ერთხელ ეწვევნენ ჰოლანდიელი ორგანიზატორები, რომელთაც სურთ, რომ იგი შეხვდეს ამ ქვეყნის უძლიერეს დიდოსტატს ი. ტიმანს. ამ ხელახალი მოლაპარაკების შემდეგ ამსტერდამის გაზეთმა „დე ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „საქმე წინ მიდის“ და უკვე ზაფხულში მოსალოდნელია ფიშერ-ტიმანის მატჩის გამართვა. მოლაპარაკების დეტალები ცნობილი არ არის.

„სპორტსკე ნოვოსტმ“ გამოაქვეყნა ტიმანთან საუბარიც. ჰოლანდიელი დიდოსტატი აცხადებს, რომ გაზეთმა „დე ტელეგრაფმა“, რომელიც მატჩს აწყობს, უკვე შეაგროვა დიდი თანხა ორთაბრძოლის დასაფინანსებლად.

ინდივიდუალური კოეფიციენტები

დღეისათვის ქართველ მოჭადრაკეთა ინდივიდუალური კოეფიციენტები ასეთია:

ქალები 1. დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი — 2391, 2. მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე — 2383. 3. დიდოსტატი ნანა ალექსანდრია — 2382, 4. დიდოსტატი ნანა იოსელიანი — 2361, 5. დიდოსტატი ნინო გურიელი — 2280, 6. საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუციშვილი — 2230, 7. ოსტატი ციცინო კახაბრიშვილი, — 2192, 8. ოსტატი მზია წერეთელი — 2183, 9. ოსტატი ციალა ქასოშვილი — 2182, 10. ოსტატი თამილა მესხი — 2156, 11. ოსტატი ქეთევან მელაშვილი — 2141, 12. ოსტატი ციური კობაიძე, — 2104, 13. საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია — 2094.

ვაჟები. 1. დიდოსტატი თამაზ გიორგაძე — 2502, 2. დიდოსტატი ედუარდ გუფელდი — 2494, 3. საერთაშორისო ოსტატი გენადი ზაიჩიკი — 2485, 4. ოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი — 2478, 5. საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა — 2465, 6. დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე — 2462, 7. საერთაშორისო ოსტატი ზურაბ სტეფნა — 2451. 8. ოსტატი ზურაბ მიქაძე — 2372, 9. ოსტატი იგორ ეფიმოვი — 2335, 10. ოსტატი დმიტრი გედევანიშვილი — 2330, 11. ოსტატი იური ჩიქოვანი — 2317, 12. ოსტატი გია გიორგაძე — 2316.

სატურნირო ორბიტა

წყალტუბოზე. მინსკში დამთავრდა „გაზაფხულის მერცხლებად“ წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება. 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მინსკელი ანეელა სტასიულევიჩი, ვაჟთა შორის კი ვორონეჟელი გენადი სტაროდუბცევი. **აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისელმა სპორტსმენმა სერგი შალიბაშვილმა ამ შეჯიბრებაზე საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა.**

კალათბურთი. მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული განმეორებითი მატჩი მესამე ადგილისათვის ადგილობრივ „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელს“ შორის. ეს შეხვედრაც კიეველებმა მოიგეს (84:80) და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. მოსკოვის „დინამომ“ მეოთხე ადგილი დაიკავა. ახლა გასარკვევია I ადგილის მფლობელის ვინაობა. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც ცსკა და კაუნასის „ჟალგირისი“ ერთმანეთს შეხვდებიან. როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველ მატჩში გაიმარჯვეს კაუნასელებმა.

ბადრაკი. ტალინში დამთავრდა პაულ კერესის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება. რიგელმა მსოფლიო ექს-ჩემპიონმა მიხეილ ტალმა და ერევნელმა დიდოსტატმა რაფაელ ვაანანიანმა 10-10 ქულა დააგროვეს და ტურნირის გამარჯვებულთა წოდება მოიპოვეს. წლევანდელ იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულმა, ტარტუელმა იაან ელვესტმა, მსოფლიო ექსჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა და რუმინელმა დიდოსტატმა მიხაი შუბამ 9-9 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია) — 8,5 ქულა, ლ. ოლი (სსრკ) — 8, ბ. აბრამოვიჩი (იუგოსლავია) და ლ. ფსახისი (სსრკ) — 7,5-7,5, ი. არნასონი (ისლანდია) და ა. ვეინგოლდი (სსრკ) — 7-7, პ. სეკელი (უნგრეთი) და ხ. შლიუსლერი (შვეიცია) — 6,5-6,5, ხ. კიარნერი (სსრკ) — 6, უ. ბოიწში (გდრ) — 5,5 ნეი (სსრკ) — 3 ქულა.

კლასიკური ჭიდაობა. ბუდაპეშტში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წარმატებით იასპარეზა **თბილისელმა გურამ მაჭარაშვილმა.** მან 62 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში პირველობა დაიპაყრა. საბჭოთა სპორტსმენთაგან გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა კიდევ ერთი ათლეტი — ნოვოჩერკასკელი ს. დიუდიევი (52 კგ). ვერცხლის მედლები მოიპოვეს გროდნოელმა ა. ფედორენკომ (90 კგ) და ჩელიაბინსკელმა ვ. გრიგორიევმა (ძძიმე წონა). ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ყაზანელი ა. ბოზინი (48 კგ).

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვსა და ლვოვში **გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების მორიგი პარტიები. მოსკოვში ბელიავსკისა და კასპაროვის მერვე პარტიაში 47-ე სვლაზე გაიმარჯვა კასპაროვმა და კიდევ უფრო დაწინაურდა — 5:3. ლვოვში კი ლევიტინამ და გაფრინდაშვილმა გაითამაშეს მეორე პარტია. 37-ე სვლაზე გაიმარჯვა ლევიტინამ და ახლა ანგარიშია 2:0 მის სასარგებლოდ.**

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

 თოლიები მოფრენილან მტკვარზე...

ვ. გენგიშერის ფოტო.

ეროვნული ბალეტი 80 წლისა

ეროვნული ბალეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს ბოლოს ადებს ბალეტ „ალადინი“ — ეს ბალეტ ეროვნული ბალეტ ეროვნული ბალეტ ეროვნული